2026 წლის საგნის გამოცდის - ქართული ენისა და ლიტერატურის (დაწყებითი საფეხური) ტესტის შეფასების სქემა

1	ბ
2	დ
3	დ
4	ბ
5	დ
6	ბ

7.

ა	ბ	გ	დ
2	3	1	3

* 1 ქულით ფასდება მხოლოდ ის პასუხი, რომელშიც ყველა აღნიშვნა სწორია.

8	**მაქსიმალური ქულა: 1**
	1 ქულა: • მოცემულია წინადადება, რომელშიც განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მოქცეულია მთავარში და ეს უკანასკნელი იწყება მისამართი წევრით. **0 ქულა:** • მოცემულია წინადადება, რომელშიც დავალების პირობა არასრულადაა შესრულებული; • მოცემულ წინადადებაში დაშვებულია ენობრივი ხარვეზი; • დავალების პირობა არასწორადაა გაგებული; • პასუხი არ არის წარმოდგენილი.
9	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: • შეცდომა სწორად არის ამოცნობილი/გასწორებული და მოცემულია შესაბამისი მართებული განმარტება. **1 ქულა:** • გასწორებულია შეცდომა, მაგრამ მოცემული განმარტება არასწორია / არაზუსტია; • გასწორებულია შეცდომა, მაგრამ არ არის მოცემული შესაბამისი მართებული განმარტება; • შესაბამისი მართებული განმარტება მოცემულია, მაგრამ შეცდომა გასწორებული არ არის. **0 ქულა:** • არ არის გასწორებული შეცდომა და არ არის მოცემული განმარტება; • შეცდომა გასწორებულია, მაგრამ დაშვებულია სხვა ენობრივი ხარვეზი.

10	**მაქსიმალური ქულა: 8**
	დავალებაში დაშვებული იყო 5 შეცდომა: **შეცდომა** — **უნდა იყოს** სჭარბობს — ჭარბობს მფარველობს — მმფარველობს 15 დღიანი — 15-დღიანი თავის ... წარმატებისკენ — თავისი ... წარმატებისკენ ის მუსიკოსი, ვინც — ის მუსიკოსი, რომელმაც **შეცდომის პოვნა** • აპლიკანტი დაშვებული შეცდომებიდან თითოეულის შესწორებისათვის მიიღებს თითო პლუსს - ,,+“. **შეცდომის განმარტება-დასაბუთება** • თითოეული შეცდომის მართებულად და სრულყოფილად განმარტება-დასაბუთებისათვის დაიმსახურებს ორ პლუსს - „ ++“; • თითოეული შეცდომის ნაწილობრივ მართებულად / არასრულყოფილად განმარტება-დასაბუთებისათვის დაიმსახურებს ერთ პლუსს - „+“. **1.** ++ ამ კონტექსტში **ჭარბობს** ნიშნავს „უხვად არსებობას“, „ბევრს“. არ იგულისხმება რამესთან შედარებით მეტობა, შესაბამისად, ზმნა ერთპირიანია, შეიწყობს მხოლოდ სუბიექტს და ირიბი ობიექტური პირის ნიშანი, ს- პრეფიქსი, არ არის საჭირო / ზედმეტია. **აუცილებელია, დასახელდეს: სემანტიკური კონტექსტი, ერთპირიანობა და ობიექტური პირის ნიშნის საჭიროების არარსებობა.** **2.** ++ ორი **მ** იყრის თავს ზმნაში, თუ ობიექტი პირველ პირში დგას და ფუძე იწყება **მ** თანხმოვნით. **აუცილებელია, დასახელდეს: ერთი მ- ობიექტური პირის ნიშანია, მეორე – ფუძისეული.** **3.** ++ თუ რთული სიტყვა / კომპოზიტი მიღებულია რიცხვითი სახელისა და სუფიქსიანი სახელის შერწყმით და ჩაწერილია ციფრების გამოყენებით, ციფრსა და სახელს შორის საჭიროა დეფისი / თუ კომპოზიტის პირველი ნაწილი რიცხვითი სახელია, რომელიც ციფრით, რიცხვით (ან რაიმე სიმბოლოთი) არის წარმოდგენილი, მომდევნო სახელს ის დეფისით დაუკავშირდება: **აუცილებელია, დასახელდეს: რიცხვითი სახელი და მასთან სუფიქსიანი სახელის შერწყმა.** **4.** ++ თუ მსაზღვრელად გამოყენებულია კუთვნილებითი ნაცვალსახელი „თავისი“, ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელს (ამ შემთხვევაში „კენ“ თანდებულდართულს) შეეწყობა ამავე ბრუნვის ნიშნის შეკვეცილი / არასრული ფორმით, მხოლოდ ხმოვნის დართვით. **აუცილებელია, დასახელდეს: მსაზღვრელ-საზღვრული, ნათესაობითი ბრუნვა და შეკვეცილი ბრუნვის ნიშანი - (-ის - -ი).** **5.** ++ მოცემულია რთული ქვეწყობილი წინადადება განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით, რომლის მთავართან დასაკავშირებლად გამოიყენება წევრ-კავშირი **„რომელიც“** შესაბამისი ბრუნვისა და რიცხვის ფორმით. **ან** ++ თუ მთავარი წინადადების ასახსნელი (მისამართი) სიტყვა არის საზღვრული/განსასაზღვრი, მაშინ გამოიყენება **„რომელიც“** და არა **„ვინც“, „რაც“** წევრ-კავშირები / თუ მთავარში არის კორელატი ან მისათითებელი სიტყვა, რომელიც მიუთითებს მისამართ / ასახსნელ სიტყვაზე, ეს არის არა ქვემდებარული, არამედ განსაზღვრებითი დამოკიდებული რთული

	ქვეწყობილი წინადადება და აუცილებელია **„რომელიც“** წევრ-კავშირის გამოყენება დასაკავშირებლად. **აუცილებელია, დასახელდეს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება და წევრ-კავშირი / მისამართი სიტყვა და წევრ-კავშირი.** **სწორად დაწერილი სიტყვის არამართებული ფორმით გასწორება** • სწორად დაწერილი თითოეული სიტყვის მცდარი ფორმით შეცვლის შემთხვევაში აპლიკანტის მიერ დაგროვებული პლუსების რაოდენობა თითო პლუსით ,,+“ შემცირდება. **აპლიკანტმა შეიძლება დააგროვოს ჯამში 15 „+“.** ნაშრომი ფასდება დაგროვებული პლუსების საერთო რაოდენობის მიხედვით: **პლუსების რაოდენობა** — **შეფასება** 14 - 15 — 8 ქულა 12 - 13 — 7 ქულა 10 - 11 — 6 ქულა 8 - 9 — 5 ქულა 6 - 7 — 4 ქულა 4 - 5 — 3 ქულა 2 - 3 — 2 ქულა 1 — 1 ქულა

11	დ
12	ა
13	გ
14	ა

15.1	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: • მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა კარლის ცვლილების განმაპირობებელ ფაქტორებზე; ახსნილია, თუ რამ შეუწყო ხელი კარლს, გამხდარიყო უფრო მამაცი და პიროვნულად გაზრდილიყო; ყურადღება გამახვილებულია უფროსი ძმის, როგორც კარლისთვის როლური მოდელის მნიშვნელობაზე. **1 ქულა:** • სწორად არის იდენტიფიცირებული ძმის როლი და კარლის ფერისცვალების განმაპირობებელი ფაქტორები, თუმცა წარმოდგენილი მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია; • სწორად არის იდენტიფიცირებული ძმის როლი და კარლის ფერისცვალების განმაპირობებელი ფაქტორები, თუმცა საუბარი არ არის მის პიროვნულ ზრდაზე, ხაზგასმულია მხოლოდ სიმამაცე; მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია. **0 ქულა:** • არასწორადაა ახსნილი კარლის ფერისცვალების მიზეზები / მსჯელობა მცდარია; • პასუხში უმეტესწილად წარმოდგენილია დავალების პერიფრაზი;

	• არ არის მსჯელობა, ორი სიტყვით არის ახსნილი; • პასუხი არ არის მოცემული.
15.2	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: მოცემულია სწორი, დამაჯერებელი მსჯელობა ჯონათანის მოტივაციაზე, თუ რატომ გადაარჩინა მოწინააღმდეგის ჯარისკაცი; მსჯელობა ეხება გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანის სიცოცხლეს და სიცოცხლეს, როგორც უმნიშვნელოვანეს ფასეულობას, უნივერსალურ ღირებულებას; ახსნილია ჯონათანის ეთიკური არჩევანი, როგორც უმაღლესი ჰუმანურობის, ცივილიზებულობის გამოვლენა. **1 ქულა:** • სწორად არის იდენტიფიცირებული ჯონათანის მიერ მოწინააღმდეგის გადარჩენის მოტივაცია, თუმცა მსჯელობა სქემატური და ზედაპირულია; • მსჯელობა შეეხება ჯონათანის ზნეობრივ არჩევანს, მის პიროვნულ ღირსებებს, თუმცა საუბარი არ არის ადამიანის სიცოცხლეზე, როგორც უმაღლეს ღირებულებაზე; მსჯელობა ზედაპირულია. **0 ქულა:** • არასწორად არის იდენტიფიცირებული ჯარისკაცის გადარჩენისას ჯონათანის მოტივაცია; მსჯელობა მცდარია; • პასუხი ძალიან ზოგადია; 2-3 სიტყვით არის ახსნილი ჯონათანის მოტივაცია; • პასუხში უმეტესწილად წარმოდგენილია ამ კონკრეტული ეპიზოდის პერიფრაზი; • პასუხი არ არის მოცემული.
15.3	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: • მოცემულია, სწორი, დამაჯერებელი მსჯელობა თენგილის მიერ ძალადობაზე დამყარებული ქვეყნის შექმნაზე; ყურადღება გამახვილებულია ადამიანის უფლებების უგულებელყოფაზე, უსამართლობაზე, დიქტატორის მიერ გაკონტროლებულ, შიშით მართულ საზოგადოებაზე; აღნიშნულია ამ საზოგადოებაში გაჩენილი წინააღმდეგობის კერების არსებობა. **1 ქულა:** • მოცემულია, სწორი მსჯელობა თენგილის მიერ უსამართლო, ძალადობაზე დამყარებული ქვეყნის შექმნაზე; ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ადამიანის უფლებების უგულებელყოფაზე, თუმცა მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია; • მსჯელობა ეხება ტირანიის მმართველობის პირობებში წინააღმდეგობის გაჩენის კერებს, თუმცა არ არის საუბარი უსამართლო, ძალადობაზე დამყარებული მმართველობის მახასიათებლებზე; მსჯელობა ზედაპირულია.

	0 ქულა: • არასწორად არის იდენტიფიცირებული თენგილის მიერ შექმნილი ქვეყნის მახასიათებლები; მსჯელობა მცდარია; • პასუხში უმეტესწილად წარმოდგენილია ამ კონკრეტული ეპიზოდის პერიფრაზი; • პასუხი ძალიან ზოგადია; შემოიფარგლება 2-3 სიტყვით; • პასუხი არ არის მოცემული.
15.4	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: • სწორად არის იდენტიფიცირებული სიტყვა „არარაობის“ ფუნქცია ამ მოთხრობაში; აპლიკანტი აანალიზებს სიტყვა „არარაობის“ ფუნქციას, გამოკვეთოს ტექსტის მთავარი იდეა – ადამიანი უნდა იყოს მამაცი, ჰუმანური და პასუხისმგებლობის მქონე, რადგან სწორედ ეს თვისებები განსაზღვრავს მის ღირსებას; ამ ცნების („არარაობის“) ფონზე უფრო მკაფიოდ იკვეთება „ლომგულობის“ არსი; ახსნილია „ლომგულის“, როგორც მეტაფორის ფუნქცია; მსჯელობა შეეხება არარაობად ყოფნის, არაფრობის შიშს („მე არ ვარ არარაობა“). ეს შიში არ ახასიათებთ თენგილს ან მის ჯარისკაცებს (მათთვის ადამიანური ღირსება უცხოა). **1 ქულა:** • სწორად არის იდენტიფიცირებული სიტყვა „არარაობის“ ფუნქცია ამ მოთხრობაში; მსჯელობა ძირითადად სწორია, თუმცა არ არის მსჯელობა არარაობად ყოფნის შიშზე; • ძირითადად სწორად არის იდენტიფიცირებული სიტყვა „არარაობის“ ფუნქცია ამ მოთხრობაში, თუმცა მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია. **0 ქულა:** • არასწორად არის იდენტიფიცირებული სიტყვა „არარაობის“ ფუნქცია ამ ეპიზოდში; მსჯელობა მცდარია; • პასუხში უმეტესწილად წარმოდგენილია ამ კონკრეტულ ცნებასთან („არარაობა“) დაკავშირებული ეპიზოდების პერიფრაზი; • პასუხი ძალიან ზოგადია; შემოიფარგლება 2-3 სიტყვით; • პასუხი არ არის მოცემული.
15.5	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: მოცემულია ამ დიალოგის სწორი, დამაჯერებელი ანალიზი; იდენტიფიცირებულია ეპიზოდის მთავარი გზავნილი – ზნეობრივი არჩევანი, მოქმედება ღირსების, კეთილი ნების დასაცავად; მსჯელობა ეხება სამ განსხვავებულ პოზიციას (ჯონათანი, ორვარი, კარლი); განხილულია ზნეობრივი სიწმინდე, როგორც ყველაზე ძლიერი იარაღი სიკეთის დასაცავად; იდენტიფიცირებულია ავტორის მიერ შემოთავაზებული დილემა – რა არის უფრო მნიშვნელოვანი – ზნეობრივი პრინციპების ერთგულება თუ პრაქტიკული აუცილებლობა, რამდენად შეუძლია ადამიანს დაიცვას მორალური საზღვრები მაშინ, როცა ბოროტებას ებრძვის. **1 ქულა:** • მოცემულია ამ დიალოგის სწორი ანალიზი: იდენტიფიცირებულია ეპიზოდის მთავარი გზავნილი ან ავტორისეული დილემა; ან ანალიზი

	შეეხება ბოროტებასთან ბრძოლისას მორალური საზღვრების დაცვას, თუმცა მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია. **0 ქულა:** • მოცემულია ამ დიალოგის არასწორი ანალიზი; მსჯელობა მცდარია; • პასუხში უმეტესწილად წარმოდგენილია ამ დიალოგის პერიფრაზი; • პასუხი ძალიან ზოგადია; 2-3 სიტყვით არის ახსნილი ამ დიალოგის შინაარსი; • პასუხი არ არის მოცემული.

15.6	**დ**
15.7	**ბ**

16.1	**მაქსიმალური ქულა: 1**
	1 ქულა: • სწორად არის იდენტიფიცირებული და განმარტებული მითითებული მეტაფორა; აპლიკანტს გააზრებული აქვს ამ მხატვრული სახის დანიშნულება ლექსში – ის მსჯელობს ბავშვისთვის დამახასიათებელ ცნობისმოყვარეობაზე, გაოცების, წარმოსახვისა და სამყაროს უშუალოდ აღქმის უნარზე. მსჯელობა შეეხება ბავშვურ ამოუწურავ ფანტაზიასა და სამყაროს აღმოჩენის შთამბეჭდავ პროცესს. მოყვანილია ლექსიდან შესაბამისი მაგალითები; • მსჯელობა ძირითადად მართებულია; იდენტიფიცირებულია მითითებული მხატვრული სახე და განმარტებულია „დიდი თვალები“, როგორც სამყაროს შემეცნების სურვილი, თუმცა მსჯელობა სქემატურია. **0 ქულა:** • არასწორადაა განმარტებული მხატვრული სახე; • პასუხი მოცემულია ერთი ან ორი სიტყვით; • პასუხი ძირითადად წარმოადგენს პერიფრაზს; • პასუხი არ არის მოცემული.
16.2	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: • მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა; იდენტიფიცირებულია „პირველი ბზარი“, როგორც რეალობასთან პირველი შეჯახების სიმბოლო; მსჯელობა შეეხება ბავშვობის მერე რაციონალიზაციის ეტაპის დასაწყისს, ძალადობასთან დაპირისპირებას; ახსნილია, როგორ უმკლავდება ლირიკული გმირი უინტერესო წრებრუნვასა თუ უსამართლობას – წარმოსახვით, ხელოვნების მეშვეობით (პირობითად მონეს ნახატებით), ზოგადად, შემოქმედებითი ცხოვრებით.

	1 ქულა: • მოცემულია სწორი, გამართული მსჯელობა; იდენტიფიცირებულია „პირველი ბზარი“, როგორც რეალობასთან პირველი შეჯახების სიმბოლო; მსჯელობა შეეხება ბავშვობის მერე რაციონალიზაციის ეტაპის დასაწყისს, ძალადობასთან დაპირისპირებას; ახსნილია, როგორ უმკლავდება ლირიკული გმირი უსამართლობას, თუმცა მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია; • მოცემულია სწორი, გამართული მსჯელობა; იდენტიფიცირებულია „პირველი ბზარი“, როგორც რეალობასთან პირველი შეჯახების სიმბოლო; მსჯელობა შეეხება ბავშვობის მერე რაციონალიზაციის ეტაპის დასაწყისს, ძალადობასთან დაპირისპირებას, თუმცა არ არის ახსნილი, როგორ უმკლავდება ლირიკული გმირი უინტერესო წრებრუნვასა თუ უსამართლობას; • მოცემულია ძირითადად სწორი მსჯელობა; მხოლოდ მინიშნებაა „პირველ ბზარზე“, როგორც რეალობასთან პირველი შეჯახების სიმბოლოზე; ახსნილია, როგორ უმკლავდება ლირიკული გმირი უსამართლობას, თუმცა მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია. **0 ქულა:** • არასწორადაა განმარტებული „პირველი ბზარი“ და ამ გამოწვევასთან გამკლავების გზა; • პასუხი 2-3 სიტყვით შემოიფარგლება; • პასუხი ძირითადად წარმოადგენს პერიფრაზს; • პასუხი ძალიან ზოგადია; • პასუხი არ არის მოცემული.
16.3	**მაქსიმალური ქულა: 2**
	2 ქულა: • მოცემულია სწორი, დამაჯერებელი, გამართული მსჯელობა; იდენტიფიცირებულია ლექსის მთავარი სათქმელი – მსჯელობა შეეხება ტრანსფორმაციას ბავშვობიდან ზრდასრულობამდე (სამყაროს შემეცნების საინტერესო და მტკივნეულ მომენტებს), ლექსის მთავარ კონფლიქტს (უსაზღვროებასა და ჩარჩოებს, დასაზღვრულობას შორის) და შემოქმედებას (ხელოვნებას, თხზვას), როგორც ადამიანის გადარჩენის, სასტიკ რეალობასთან გამკლავების გზას; მოცემულია მსჯელობა სამიდან ორ საკითხზე მაინც. **1 ქულა:** • მოცემულია სწორი, გამართული მსჯელობა; იდენტიფიცირებულია ლექსის მთავარი სათქმელი – მსჯელობა შეეხება ტრანსფორმაციას ბავშვობიდან ზრდასრულობამდე, ლექსის მთავარ კონფლიქტს და შემოქმედებას (ხელოვნებას, თხზვას) – ამ სამი საკითხიდან ორს ან ერთ-ერთს, თუმცა მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია;

	• მოცემულია ძირითადად სწორი მსჯელობა; იდენტიფიცირებულია ლექსის მთავარი სათქმელი, თუმცა პასუხი შეეხება მხოლოდ ტრანსფორმაციას ბავშვობიდან ზრდასრულობამდე და ლექსის მთავარ კონფლიქტს; მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია; • მოცემულია ძირითადად სწორი, გამართული მსჯელობა; იდენტიფიცირებულია ლექსის მთავარი სათქმელი – მსჯელობა შეეხება მხოლოდ ლექსის მთავარ კონფლიქტს და შემოქმედებას (ხელოვნებას, თხზვას), ან ამ ორი საკითხიდან ერთ-ერთს, თუმცა მსჯელობა ზედაპირული და სქემატურია. **0 ქულა**: • არასწორადაა ახსნილი ლექსის მთავარი სათქმელი; მსჯელობა შეეხება მხოლოდ ომებს, დიქტატორებს ან მხოლოდ ხელოვნებას – მონეს ნახატებს ან ალისასთან მსგავსებას, ან მხოლოდ ბავშვობის ნოსტალგიას და ა. შ.; • პასუხი 2-3 სიტყვით შემოიფარგლება; • პასუხი ძირითადად წარმოადგენს პერიფრაზს; • პასუხი არ არის მოცემული.

აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

17	ბ
18	ა
19	დ
20	გ
21	ბ

ანალიტიკური წერა

22.

მაქსიმალური ქულა: 9
I. დასაბუთება / არგუმენტაცია * *ნაშრომი მოცემული პირობის რელევანტურია, ავტორის პოზიცია მკაფიოა, არჩეულია დებულება, წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთება, გაკრიტიკებულია საწინააღმდეგო დებულება ან მოცემულია დაბალანსებული მსჯელობა (განხილულია ორივე დებულება). მსჯელობა გამყარებულია დამაჯერებელი, ადეკვატური არგუმენტებითა და მაგალითებით.* **3 ქულა:** არჩეულია ერთ-ერთი დებულება და დასაბუთებულია გააზრებული, თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტებით. მოყვანილი არგუმენტები გამყარებულია ადეკვატური მაგალითებით ან ლოგიკური მსჯელობით. კრიტიკულად, თანმიმდევრული მსჯელობითა და შესაბამისი მაგალითებით არის შეფასებული საწინააღმდეგო პოზიცია.

2 ქულა:
არჩეულია ერთ-ერთი დებულება. არგუმენტაცია ლოგიკურია, თუმცა შეიმჩნევა ზოგადი ფრაზები პოზიციის დასაბუთებაში. ზოგიერთი აზრი გამყარებულია მაგალითით. წარმოდგენილია საწინააღმდეგო დებულების კრიტიკული ანალიზი, მაგრამ არ არის საკმარისად არგუმენტირებული.

1 ქულა:

- არჩეულია დებულება, მაგრამ მისი დასაბუთება მცირედ ან ზედაპირულ არგუმენტებზეა დაფუძნებული. არგუმენტები ხშირად არის დაუსაბუთებელი, განზოგადებული ან შეუსაბამო. საწინააღმდეგო პოზიცია მხოლოდ მოხსენიებულია ან საერთოდ არაა განხილული.
- არჩეულია ერთ-ერთი დებულება. არგუმენტაცია ლოგიკურია, თუმცა შეიმჩნევა ზოგადი ფრაზები პოზიციის დასაბუთებაში. ზოგიერთი აზრი გამყარებულია მაგალითით. არ არის წარმოდგენილი საწინააღმდეგო დებულების კრიტიკული ანალიზი.

0 ქულა:
შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მსჯელობა დავალების პირობასთან მიმართებით არარელევანტურია;
- არგუმენტაცია არ იკვეთება / სრულიად მცდარია / დაუსაბუთებელია;
- ნაშრომი მიემართება თემას, მაგრამ არ წარმოადგენს არგუმენტირებას თუ კრიტიკულ ანალიზს;
- მსჯელობა არ არის ლოგიკური, თანმიმდევრული;
- მსჯელობა არ არის მოცემული.

**მსჯელობისას ფაქტობრივი შეცდომის დაშვების შემთხვევაში აპლიკანტს მეორე კომპონენტში დააკლდება 1 ქულა.*
****თუ ნაშრომი პირველი კრიტერიუმის მიხედვით შეფასდება 0 ქულით, ის აღარ გასწორდება სხვა კრიტერიუმების მიხედვით.***

II. თხრობის ორგანიზება
ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია, აზრები მწყობრად, თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თხზულების ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული.

2 ქულა:

- ტექსტი სტრუქტურულად გამართულია - ნაწერში წარმოდგენილია საკითხის დასმა, მსჯელობა, დასკვნა; აზრები მწყობრად არის გადმოცემული, მონაკვეთები ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს; აბზაცები ლოგიკურად არის გამოყოფილი.

1 ქულა:
შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- მკაფიოდ არის წარმოდგენილი ტექსტის მხოლოდ ორი სტრუქტურული ნაწილი;

- ტექსტის ზოგიერთი მონაკვეთი ლოგიკურად არ უკავშირდება დავალების პირობას;
- ერთი-ორი პასაჟი თხზულების სტრუქტურიდან ამოვარდნილია;
- წარმოდგენილი დასკვნა მკაფიოდ / პირდაპირ არ მიემართება დავალების პირობაში დასმულ საკითხებს / არ გამომდინარეობს მსჯელობიდან;
- წარმოდგენილია მსჯელობა მხოლოდ ერთი დებულების შესახებ;
- უფუნქციოდ, დატვირთვის გარეშე მეორდება ერთი და იგივე აზრი;
- ნაშრომში აბზაცები არ არის გამოყოფილი ან არალოგიკურადაა გამოყოფილი.

0 ქულა:
შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაწერის მხოლოდ მცირე მონაკვეთი ეთმობა მსჯელობას (რამდენიმე წინადადება, პატარა აბზაცი ა. შ.);
- მოსაზრებები, ტექსტის უმეტესი ნაწილი ერთმანეთსა და დავალების პირობებს ლოგიკურად არ უკავშირდება;
- ნაწერში წარმოდგენილია ტექსტის მხოლოდ ერთი სტრუქტურული ნაწილი;
- პრობლემა ამოცნობილია, 1-2 წინადადებით არის იდენტიფიცირებული, თუმცა ნაშრომში საკითხის სამსჯელოდ დასმას / წამოჭრას ვერ ვხვდებით.;
- სტრუქტურიდან ამოვარდნილია რამდენიმე პასაჟი.

III. სტილი, ლექსიკა

აზრები ცხადად, ნათლადაა გამოთქმული, ნაწერი ლექსიკურად მდიდარი და სტილურად გამართულია, ლექსიკა შეესაბამება დასმულ საკითხს.

2 ქულა:

- ნაშრომში გვხვდება ერთი-ორი უმნიშვნელო სტილური ხარვეზი, ტექსტი ლექსიკურად მდიდარია, აზრი მკაფიოდ და გამართულად არის გადმოცემული, გამოყენებულია საკითხის შესაფერისი ლექსიკა და სტილი.

1 ქულა:
შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაშრომში გვხვდება რამდენიმე სტილური ხარვეზი. გამოყენებული ლექსიკა და სტილი ძირითადად შეეფერება საკითხს;
- ნაწერი ლექსიკურად მწირია, თუმცა, გამოყენებული ლექსიკა და სტილი ძირითადად შეეფერება საკითხს.

0 ქულა:
შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- ნაწერი ლექსიკურად ღარიბია;
- დაშვებულია სტილური ხარვეზები;
- ნაშრომში გარკვეული მონაკვეთი სტილურად გაუმართავია;
- გამოყენებულია არაადეკვატური ლექსიკა / სტილი.

IV. სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია

ნაწერი შესრულებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

2 ქულა:

- დაშვებულია **ერთი-ორი** ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური / პუნქტუაციური შეცდომა, ***<u>არ არის</u>*** *<u>დაშვებული სინტაქსური შეცდომა,</u>* დაცულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

1 ქულა:

- **დაშვებულია არაუმეტეს ხუთი** სინტაქსური, ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური და პუნქტუაციური შეცდომა.

0 ქულა:

- **დაშვებულია ექვსი და მეტი** სინტაქსური / ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური / პუნქტუაციური შეცდომა; ნაშრომში დარღვეულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი არ გასწორდება, თუ:

შესრულებულია ქვემოთ მოცემულთაგან ერთ-ერთი პირობა:

- შეიცავს ინფორმაციას, რომლის საშუალებით შესაძლებელია აპლიკანტის პიროვნების იდენტიფიცირება – სახელსა და გვარს (რეალურსა თუ გამოგონილს), მეტსახელს, ხელმოწერას და ა.შ.
- შესრულებულია ისეთი ხელწერით, როგორის წაკითხვაც შეუძლებელია.

<u>ნაშრომი უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 120 სიტყვას. სხვა შემთხვევაში ის გასწორდება მხოლოდ I კრიტერიუმის მიხედვით.</u>

გაითვალისწინეთ!

- თუ სწორ პასუხთან ერთად აპლიკანტი არასწორ პასუხსაც მიუთითებს, დავალება შეფასდება 0 ქულით;
- თუ ტესტის ქართული ენისა და ლიტერატურის ნაწილში მოცემულ დავალებებზე პასუხის გაცემისას დარღვეულია თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები, აპლიკანტს დავალების შეფასებისას დააკლდება 1 ქულა.